ასე შენდება კომუნიზმის ინდუსტრია!

მწყობრში ჩადგა ხრამჰეს-2 • ენისეი გადახიდულია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი № 72 (12584) | სამშაბათი, 26 მარტი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

25 მარტს დამთავრდა ენისეის გადახიდვა. ეს წუალუხვი მდინარე იმუშავებს კომუნიზმისათვის!

კვლავ იშვა ცეცხლი ხრამის ტალღებში. ელექტროენერგია, რომელსაც ხრამჰეს-2 გამოიმუშავებს, ჩაირთვება საქართველოს, შემდეგ კი ამიერკავკასიის გაერთიანებულ ენერგოსისტემაში.

გულითადი სალამი კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს

ნ. ს. ხრუშჩოვი ტელეფონით ესაუბრა კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის უფროსს ა. ე. ბოჩკინს

დივნოგორსკი, 25 მარტი. (საკდესი). 25 მარტს 10 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით ენისეის გადახიდვის შტაბში ტელეფონით დარეკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა. ტელეფონის მილი აიღო კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის უფროსმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ე. ბოჩკინმა.

ქვემოთ მოყვანილია გამართული საუბრის ტექსტი.

ნ. ს. ხრუშჩოვი: — ამხანაგო ბოჩკინ, გამარჯობათ, გელაპარაკებათ ხრუშჩოვი.

ა. ე. ბოჩკინი: — გამარჯობათ ნიკიტა სერგის-ძევ, ტელეფონთან არის ბოჩკინი. გისმენთ.

ნ. ს. ხრუშჩოვი: — როგორ მიდის საქმე თქვენთან?

ა. ე. ბოჩკინი: — წარმატებით, ნიკიტა სერგის-ძევ. ორი საათის შემდეგ გადავხიდავთ ენისეის. საქმე კარგად მიდის, უფრო წარმატებით, ვიდრე მოველოდით.

ნ. ს. ხრუშჩოვი: — გილოცავთ თქვენ და კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურის ყველა მშენებელს, რომლებიც დიდ საქმეს აკეთებენ — იმორჩილებენ ენისეის, რათა აიძულონ იგი იმუშაოს კომუნიზმისათვის. გულითადი სალამი გადაეცით ყველა მშენებელს. გილოცავთ წარმატებას.

ა. ე. ბოჩკინი: — გმადლობთ, ნიკიტა სერგის-ძევ, დიდად გმადლობთ. თქვენს გულითად სალამს გადავცემ ჩვენს კოლექტივს.

ნ. ს. ხრუშჩოვი: — ნახვამდის!

ა. ე. ბოჩკინი: — ნახვამდის, ნიკიტა სერგის-ძევ!

სურათზე: ხრამჰეს-2-ის ამუშავებისადმი მიძღვნილი მიტინგი. სიტყვას ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგის, მ. კვირიკაშვილის და ე. სუსუნიკაშვილისა.

ხრამჰეს-2-ის მშენებლებს უკანასკნელ დღეებში მშვიდად არ სძინებიათ. როგორც ცოცხალი არსების გული არ წყვეტს ფეთქვას, ისე მშენებლობაზე ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა შრომის სიმფონია, მუშაობა დღედაღამ წარმოებდა. მშენებელთა დიდი და გამოცდილი კოლექტივი, რომელსაც სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი მირიან ებრალიძე და მშენებლობის მთავარი ინჟინერი ნოდარ ჭარხალაშვილი უდგანან სათავეში, ძალასა და ენერგიას არ იშურებდა იმისათვის, რომ დათქმული დროისათვის აკიაფებულიყო ხრამის მეორე დიდი ჩირაღდანი.

მშენებელთა და მემონტაჟეთა ცხოვრებაში დადგა ყველაზე ამაღელვებელი საათები — დაიწყო აგრეგატების 72-საათიანი მთელი ციკლით გამოცდა. ყველა მოუთმენლად ელოდა გამოცდის შედეგს.

23 მარტს გვიან ღამით აგრეგატებმა საწარმოო გამოცდა ბრწყინვალედ ჩაიარეს.

მშენებელთა დიდი გამარჯება თითქოს ბუნებამაც იგრძნო. ხრამის ხეობაში იმ ადგილის ირგვლივ, რომელსაც ბეღიანს ეძახიან და სადაც მშენებელთა კოშკი დაბა არის გაშენებული, ცამ ღრუბელი გადაიყარა, ზვიადი მთებიდან ნისლი სადღაც შორს გადაიკარგა...

24 მარტს დილიდანვე მშენებელთა დაბისაკენ დაუსრულებლად მოქროდნენ ავტომანქანები, მოდიოდნენ დედაქალაქიდან, მეზობელი რაიონებიდან და სოფლებიდან სტუმრები, რათა თვალითა თვალით ენახათ საინჟინრო თვალსაზრისით ეს უნიკალური ნაგებობა და გაეზიარებინათ გმირი მშენებლების დიდი სიხარული.

დილის ათი საათია. ჩათახში ხრამჰეს 2-ის ღია სადგურის წინ, სადაც მოწყობილია ტრიბუნა, მოედანი ხალხს ვეღარ იტევს.

ზოგიერთი სტუმარი, რომელიც ნაკლებად იცნობდა ჰესის მშენებლობის საიდუმლოებას, გაკვირვებას გამოთქვამდა:

მრავალი წელია ხრამის ხეობაში გამუდმებით ხმაურობდნენ მანქანები, ისმოდა მშენებელთა ომახიანი შეძახილები, ნახელავს კი ბევრს ვერაფერს ვხედავთ. ამას ამბობდნენ და ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ საგენერატორო სადგურში შემავალ გვირაბს.

სტუმრებს სრული წარმოდგენა ტომ ჰქონოდათ მშენებელთა გმირულ შრომაზე, ზეიმზე მისული უბნის უფროსები, სამუშაოთა მწარმოებლები, ახალგაზრდა ინჟინერები, ბრიგადირები, მემონტაჟეები სტუმრებს განუმარტავდნენ, ესაუბრებოდნენ და აცნობდნენ, რომ მდინარე ხრამი უდიდესი ენერგეტიკული რესურსების წყაროა. სწორედ ამიტომ საბჭოთა სპეციალისტებმა გადაწყვიტეს ამ მთის მდინარეზე დაეწყოთ ჰიდროელექტროსადგურების კასკადის აგება. ამ კასკადის პირველი საფეხური იყო ხრამჰეს-1. მისი მშენებლობის დროს შეიქმნა 228 მილიონი კუბური მეტრის მოცულობის წყალსაცავი. ამ სადგურის მნიშვნელობა მეტად დიდია. იგი გათვალისწინებულია ენერგიის გამომუშავებისათვის უმთავრესად ზამთრის თვეებში, როცა რესუბლიკის სხვა ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე მცირდება წყლის ნაკლებობის გამო.

ხრამჰეს-2-ის ასაგებად შესრულებულია 2,5 მილიონზე მეტი კუბური მეტრი მიწა-კლდის სამუშაო. ჩასხმულია 300 ათას კუბურ მეტრზე მეტი ბეტონი და რკინაბეტონი, მოპირკეთებულია 180 ათასი კვადრატული მეტრი კიდელი, გაყვანილია 22 კილომეტრი გვირაბი, გვირაბებში ჰაერის მისაწოდებლად და განიავებისათვის გაყვანილი და დამონტაჟებულია 70 კილომეტრი სხვადასხვა დიამეტრის მილები, გაყვანილია 75 კილომეტრზე მეტი რთული სამთო გზა, ჩათახის მთის გულში გაკეთებულია დიდი ქვაბული, სადაც თავისუფლად მოთავსდება ორმოტორიანი სახლი. ამ ქვაბულში დადგმული და დამონტაჟებულია ჰესის ძირითადი აგრეგატები და ავტომატურად სამართავი ფარი თავისი მოწყობილობით.

გარეგნულად ჰესი მნახველს დიდად არ განაცვიფრებს, მაგრამ როცა იგი თავისი თვალით ნახავს მიწისქვეშა კომუნიკაციებს, დიდ აგრეგატებს, უნებლიეთ იტყვის:

— ბარაქალა თქვენს ვაუკაცობას, მშენებლებო! ასეთი უნიკალური ნაგებობის შექმნისათვის...

დილის 11 საათსა და 30 წუთზე ეს, მთელ კოლექტივს მხურვალედ მიულოცა ხრამჰეს-2-ის მწყობრში ჩაყენება და აღნიშნა, რომ მთელმა კოლექტივმა ამ დიდი საქმით ღირსეული წვლილი შეიტანა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში. მან დიდი მადლობა გადაუხადა ყველა ორგანიზაციებს, სპეციალისტებს დახმარებისათვის.

სახელოვან მშენებელთა კოლექტივს წლების განმავლობაში მუშაობა მოუხდა რთულ გეოლოგიურ პირობებში. შრომის სწორი ორგანიზაციის მოწყობით, მშენებლობაში მოწინავე „მეთოდების დანერგვით ყველა უბანზე დაძლიეს სიძნელეები და დროულად უპატაკეს სამშობლოს ჰესის მწყობრში ჩაყენება.

უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის შესაქმნელად დიდი მუშაობა გასწიეს მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა.

ჰესის მშენებლობის პერიოდში შესრულდა ისეთი სამუშაოები, რომლებიც პირველად საბჭოთა კავშირში ხრამჰესის მშენებლებმა განახორციელეს.

მაგალითად, პირველად საბჭოთა კავშირში აქ იქნა აგებული ესოდენ გრძელი (4,5 კმ.) ყრუ სანგრევებიანი გვირაბები, რომლებსაც ვიწრო კვეთი და წყლის დიდი მოდინება აქვთ.

პირველად ჩვენშია განხორციელებული ბეტონში ჩასმული საწნეხი მილადენი, რომელსაც აქვს მინიმალური სისქის ლითონის გარსი და ფრიად დიდი შიდა წნევა, ნაცვლად ლითონის მძიმე მილებისა, რომლებსაც ვიწრო ადგილებში ყენიან ხოლმე.

მშენებელთა კოლექტივმა პირველად აითვისა მეთოდი ბეტონის ინეკციური წესით ჩასხმისა ეგრეთწოდებულ შპრიცბეტონ-მანქანის შემწეობით

ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ჩვენმა სახელოვანმა კოლექტივმა ააშენა მძლავრი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც წლიურად გამოიმუშავებს 360-380 მილიონ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას.

მისასალმებელი სიტყვებით გამოსულ ამხანაგებს — გამუვანთა ბრიგადის ხელმძღვანელს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, სოციალისტური შრომის გმირს ი. ობოლაძეს, მემონტაჟეთა ბრიგადის მეთაურს დ. ბატურინს, მექანიზატორ მ. პოპოვს, სამთო ო

მექანიზატორი და გაგაფხული

გუშინდელი დღის გმირები

მექანიზატორი ს. შიუკაშვილი

ყვარლის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობები ავლენენ ახალ რეზერვებს მარცვლეულის მოსავლიანობის გასადიდებლად. ერთ-ერთ ასეთ რეზერვს წარმოადგენს ახალი მიწების ათვისება. და დროზე დამუშავება. მექანიზატორები ამ საქმის ავანგარდში არიან. მათ შორის აღსანიშნავია მექანიზატორის ს. შიუკაშვილის მუშაობა. მან ამ გაზაფხულზე სიმინდის დასათესად უკვე აითვისა 20 ჰექტარი ახალი მიწა. დღიური ნორმა ითვალისწინებს 0,2 ჰექტარის ათვისებას, ამ წარჩინებულმა მექანიზატორმა კი გუშინ 0,3 ჰექტარი აითვისა.

ბ. ბურასაკაშვილი,
ბუხალტერ-ეკონომისტი.

სტუმრად-ყუბანელებთან

უუბანი თოვლის ზეწარში გახვეული დაგვხვდა. თეთრ ფონზე უფრო შავები ჩანდნენ მოფარფატე ყვავები, რომლებიც გაზაფხულს აუფორიაქებია და არემარეს აყრუებენ ჩხავილით.

...ყუბანის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოცდის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. აქ ნაყოფიერ შრომას ეწევიან შაქრის ჭარხლისა და სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის მესიდიდუმლეები სოციალისტური შრომის გმირები ვ. სვეტლიჩნი და ვ. პერვიაკი. აი ამ ადამიანებთან შეხვედრა და ძველი გამოცდილების გაცნობა აინტერესებდათ საქართველოს მხვნელ-მთესველთა წარგზავნილებს.

ინსტიტუტის დირექტორმა ა. ოსკინმა გულთბილად მიგვიღო. გვეცანით ინსტიტუტის საქმიანობას უკანასკნელ წლებში, ოთხი წლის წინათ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დეკემბრის პლენუმზე დააყენა ამოცანა, რომ შაქრის ჭარხლის მოყვანისას შრომატევადი სამუშაოები გაგვემარტივებინა, გაგვეთავისუფლებინა აქ დასაქმებული დიდძალი მუშახელი. ინსტიტუტის მეცნიერებმა შეადგინეს „გენერალური გეგმა“ და გამოიტანეს გამოცდილი „ჯარისკაცი“ სვეტლიჩნის სახით. ამ გამოცდილმა მექანიზატორმა პირველ წელს 73 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 434 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ერთ ცენტნერზე დაიხარჯა 17 წუთი, ხოლო ცენტნერის თვითღირებულებამ შეადგინა 30 კაპიკი. ვ. სვეტლიჩნი ყოველწლიურად აუმჯობესებდა შედეგებს, ზრდიდა ნათეს ფართობებს. წელს ვ. სვეტლიჩნის გადაწყვეტილი აქვს თავისი რგოლის წევრებთან 220 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 380 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 150 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე — 80 ცენტნერი ბარდა მარცვლად, 250 ჰექტარიდან თვითეულ ჰექტარზე — 45 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი.

1961 წელს ვ. სვეტლიჩნისა და ვ. პერვიაკის საქმიანობას გაეცნო ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, მოიწონა იგი და მისი რეკომენდაციით გადაღებულ იქნა ფილმი „მეჭარხლეთა შუქურა“.

ინსტიტუტში არის შთაბეჭდილებათა წიგნი, რომლის ფურცლებზე ამოიკითხავთ ჩინეთის, ამერიკის, პოლონეთის, უნგრეთის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ჩანაწერებს, რომლებიც ყოფილან ინსტიტუტში, გასცნობიან მის საქმიანობას.

სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები ერედვის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი ს. მელქოევი, ინჟინერ-მექანიკოსი ფ. მირონჩიკოვი, მექანიზატორი ვ. ბერუაშვილი საფუძვლიანად გაეცნენ ყუბანელთა გამოცდილებას და შინ დაბრუნებისას აწონ-დაწონეს და გადაწყვიტეს: წელს პირველად ვ. სვეტლიჩნის გამოცდილების მიხედვით 140 ჰექტარზე ხელის შრომის გამოუყენებლად მოიყვანონ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი.

* * *

საშუალება გვქონდა გავცნობოდით სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორების — უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს სოფლის მშრომელების საქმიანობას.

— გისმენო, დიახ, სასიამოვნოა! საქართველოდან ჩამოსულ სტუმარს თუ ქართულ სტუმართმოყვარეობას ვერ გაგიწევთ, შეეცდებით მუშაობისათვის ნორმალური პირობები მაინც შეგიქმნათ, — ამეთი ტკბილი საუბარი გაგვიბა უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. ა. პახომოვმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდა მსუბუქი ავტომანქანა.

ვინახულეთ ის კოლმეურნეობა, რომელმაც სახელი გაითქვა ჩვენს ქვეყანაში. ეს არის „ყუბანი“. აქაურებს დიდი სურვილი აქვთ ჩვენი რესპუბლიკის გურჯაანის საწარმოო სამმართველოს სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობასთან გაჩაღეს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულები გამოვიდნენ. მათ წელს 100 ჰექტარ სახნავზე უნდა აწარმოონ 80 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით. რით ფიქრობენ ისინი ამ ამოცანის გადაწყვეტას? პირველ რიგში საკვების ხარისხის, პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებით.

ხორცის წარმოების გადიდებისათვის და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის „ყუბანელებმა“ ფართოდ დანერგეს მოლდავეთის მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ მწვანე საკვების დამზადების ახალი მეთოდი.

— გავიგეთ, რომ თქვენთან მოზარდეულს, გოჭებს, ფრინველს ზამთარშიც მწვანე საკვებს აძლევთ. — შეეკითხეთ კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსს ა. დარკინს.

— კი, მართალია. სამი თვეა ვიყენებთ მწვანე საკვების დამზადების ამ მეთოდს.

მახასინძელი შეგვიძლია ჰიდროტონული კამერაში, რომლის ფართობი ოცი კვადრატული მეტრია, აქ იარუსებად ერთმანეთზე დგას ქთმების ყოფილი გალიები, გალიებზე ხონჩები აწყვია, რომელზეც ყრია სიმინდის, ქერის, პურის, ბარდის მარცვლები, ქიმიკატებისაგან დამზადებული მკვებავი ხსნარის გავლენით ეს მარცვლები აღმოცენდება, ვითარდება და როცა მცენარე 25 სანტიმეტრ სიმაღლეს მიაღწევს, მას აძლევენ საკვებად. მცენარის ზრდის პროცესი ათ დღეს გრძელდება. კამერაში ტემპერატურა 21-25 გრადუსია.

თვითეულ ხონჩასთან დამატებით გასათბობისათვის თითო ნათურაა დადგმული. აქ მარტო ერთ კამერაში ორ თვეში 4.250 კილოგრამი მწვანე მასა მიიღეს. ეს უდრის ნახევარ ჰექტარზე მიღებულ მწვანე მასას. ერთი კილოგრამი მწვანე მასა დაუჯდათ 2 კაპიკი. აი როგორ ფიქრობენ აქაურები ხორცის წარმოების თვითღირებულების შემცირებას.

როგორც ვხედავთ, ჰიდროტონული მეთოდით მწვანე მასის მიღება და გამოყენება ხელსაყრელი. ვკვაქვს თუ არა შესაძლებლობა ეს საუკეთესო მეთოდი ჩვენი ოლქის მეურნეობებშიც დავნერგოთ? ბეგ, ბკვაქს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სპეციალისტებმა გამოთქვეს აზრი, რომ ამ მეთოდს თავიანთ კოლმეურნეობებში აუცილებლად დანერგავენ. ამას განსაკუთრებული უურადღება მიექცევა სოფლების კეხვის, ქსუისის, თიღვის, ჯავის, არცევის კოლმეურნეობებში.

„ყუბანელებმა“ დედალორების დიდ-ჯგუფური შენახვის მეთოდის დანერგვით მიაღწიეს იმას, რომ ფართობი რაციონალურად გამოიყენენინათ. გაადვილებინათ შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია. ამით კი ისინი აღწევენ შრომის ნაყოფიერების ზრდას, თვითღირებულების შემცირებას.

უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე სამი წელია მისდევენ ღორების ხელოვნურ დაფესვლას, რაც ხელს უწყობს ღორების სულადობის სწრაფ ზრდას და ჯიშიანობის გაუმჯობესებას. ამ მეთოდს წელს სამხრეთ ოსეთის ოლქის ბევრ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში ფართოდ დანერგავენ.

კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობაში, რომელიც მოწინავეა საწარმოო სამმართველოში ხორცისა და რძის წარმოების საქმეში, დიდი ყურადღება ექცევა რძის ცხიმიანობის გაზრდას.

— 0,1 პროცენტით რძის ცხიმიანობის გაზრდა, — თქვა ჩვენთან საუბარში კოლმეურნეობის მთავარმა ზოოტექნიკოსმა მ. მოროზოვმა, — ეს ნიშნავს წელიწადში დამატებით მივიღოთ 580 ცენტნერი რძე, რაც 25 ძროხისაგან მიღებული რძის რაოდენობას უდრის.

აღნიშნული კოლმეურნეობის მწველავებმა მიმდინარე წლის იანვარში სახელმწიფოს მიჰყიდეს 79 ტონა რძე, ამას დამატება ცხიმიანობის ნამატის აწგარიშზე 6 ტონა რძე. რძის წარმოების კვარტალური გეგმა კოლმეურნეობას 25 თებერვლისათვის ჰქონდა შესრულებული.

რით აღწევენ ასეთ წარმატებებს? პირველ რიგში მრავალფეროვანი, სრულფასოვანი საკვების მიცემით. კარგი მოვლით, გულმოდგინე წველით და სისტემატური კონტროლით, პროდუქციის ცხიმიანობაზე.

უსტ-ლაბინსკაიას სოფლის მშრომელნი, ისარგებლეს, რომ ... ეროვნული კარგად ... ...

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ამ დღეებში ა. თ. გორკინის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ე. ვ. კულიკოვის მოხსენების გამო პლენუმმა განიხილა საკითხი — სასამართლოების მიერ კანონების დაცვა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს

მოხსენებასა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს იმ წევრების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, ზოგიერთი უმაღლესი სასამართლოს სამხარო, საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეებისა და სახალხო მოსამართლეების გამოსვლებში, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პლენუმის მუშაობაში, აღინიშნა, რომ კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა დაცვის გაძლიერება ჩვენს ქვეყნაში კომუნისტური საზოგადოების წარმატებით აშენების უცილობელი პირობებია. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნები სასამართლო ორგანოებისადმი.

უკანასკნელი წლების განმავლობაში სასამართლო ორგანოებმა რამდენადმე გაუმჯობესეს მუშაობის ხარისხი, მაგრამ ცალკეული სასამართლოები ჯერ კიდევ უშვებენ კანონების სერიოზულ დარღვევებს საქმეებისა და მშრომელთა საჩივრების განხილვის დროს. სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა დაუსაბუთებლად მსჯავრს დებენ მოქალაქეებს, აგრეთვე ამართლებენ პირებს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, ფაქტები, როცა სწორი არ არის დანაშაულის კვალიფიკაცია და სასჯელის ზომების შეფარდება, რომლებიც არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და დამნაშავეთა პიროვნებას, ბღალავენ ბრალდებულთა დაცვის უფლებებს, არღვევენ საქმეთა განხილვის კანონით დაწესებულ კადებს. ეს დარღვევები დიდ ზიანს აყენებენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და დამნაშავეთის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის საქმეს, საბჭოთა მოქალაქეების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

მიღებულ დადგენილებაში პლენუმმა სასამართლოების ყურადღება მიაქცია იმას, რომ პარტიის მიერ დასახული ამოცანები ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის ლიკვიდაციის შესახებ წარმატებით შესრულდება კანონების მკაცრი და განუხრელი დაცვის პირობით და რომ კანონიერების რაიმე. უმნიშვნელო დარღვევაც კი შეუწყნარებელია სასამართლო საქმიანობაში. პლენუმმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საჭიროა შესრულდეს ძირითადი მოთხოვნა კანონისა იმის შესახებ, რომ თვითეული ადამიანი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, სამართლიანად დაისაჯოს და არც ერთი უდანაშაულო არ მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში და არ დაედოს მსჯავრი.

პლენუმმა დაავალა მოსამართლეებს მეტი ყურადღებით მოეკიდონ მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და პრესის ცნობების განხილვას დაუსაბუთებლად მსჯავრის დადებისა თუ გამართლების და კანონის სხვა დარღვევათა შემთხვევების შესახებ. გულდასმით შეამოწმონ მიღებული სიგნალები და მიიღონ ზომები კანონიერების აღდგენისათვის. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს, სამხარეო და საოლქო სასამართლოებს მიეთითათ, რომ საჭიროა გაუმჯობესონ საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციების საქმიანობა, გააძლიერონ ზედამხედველობა კანონიერების დაცვისადმი სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს.

პლენუმმა მოისმინა რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ლ. ნ. სმირნოვისა და ლიტვის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ა. ლ. ლიკასის, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის გ. ზ. ანამკინის მოხსენებანი, თე როგორ ასრულებენ სასამართლო ორგანოები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1961 წლის 12 სექტემბრის დადგენილებას „სასამართლოების მიერ იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ კანონმდებლობის გამოყენების წესი, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას.

დადგენილებაში პლენუმმა აღნიშნა, რომ სასამართლოებმა არ უნდა შეასუსტონ ბრძოლა ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ. ურჩია ეს საქმეები უფრო ხშირად განიხილონ გამსვლელ სესიებზე საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სახლთმმართველობებში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, ამასთან მკაცრად დაიცვან კანონით დაწესებული ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქმეთა სწორ განხილვას.

მიღებულია მთელი რიგი სხვა დადგენილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა რ. ა. რუდენკომ და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ა. ნ. მიშუტინმა, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეთა მოადგილეებმა სისხლის სამართლის საქმეებში, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა.

• უცხოეთის ამბები • ქრონიკები •

პროტესტი საფრანგეთის ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ

საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთმა მოახდინა ახალი ატომური აფეთქება საჰარაში.

ეს აფეთქება, ნათქვამია განცხადებაში, ცხადყოფს საფრანგეთის მთავრობის დამოკიდებულებას მოლაპარაკებისადმი ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, რომელიც ეუნეკაში მიმდინარეობს. აფეთქება მოწმობს, რომ საფრანგეთის მმართველ წრეებს არ სურთ ანგარიში გაუწიონ მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომელიც მოითხოვს ატომური იარაღის გამოცდის აღკვეთას. ატომური აფეთქებები საჰარაში საფრთხეს უქმნის ალჟირის ხალხს, აფრიკის ყველა ხალხს. ეს აფეთქებანი უხეშად არღვევენ დამოუკიდებელი ალჟირის სახელმწიფოს სუვერენიტეტს.

ჩვენ, ხაზგასმულია კომიტეტის განცხადებაში, პროტესტს გამოვთქვამთ ახალი ატომური გამოცდის წინააღმდეგ, რასაც საფრანგეთი ახორციელებს. მოვუწოდებთ აზიის, აფრიკისა და მთელი მსოფლიოს ხალხებს მტკიცედ იბრძოლონ ატომური იარაღის გამოცდის განგრძობის წინააღმდეგ, იმისათვის, რომ უსწრაფესად დაიღოს ხელშეკრულება ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. (საკდესი).

რ. ი. მალინოვსკი ინდონეზიაში

ჯაკარტა, 25 მარტი. (საკდესი). დღეს პრეზიდენტ სუკარნოს მოწვეებით ჯაკარტას ჩამოვიდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი რ. ი. მალინოვსკი.

საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ალმებით მორთულ აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საბატიო ყარაული. საბჭოთა სტუმარს გულთბილად მიესალმნენ პირველი მინისტრი ჯუანდა, შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი ნასუტიონი, ინდონეზიის არმიის უკანა გვარეობის ჯარების სარდალი.

მთელ გზაზე აეროდრომიდან რეზიდენციამდე მარშალ რ. ი. მალინოვსკის მიესალმებოდა დიდძალი ხალხი, რომელთაც ხელთ ეჭირათ ალმები და ლოზუნგები: „კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, მარშალო მალინოვსკი!“, „გაუმარჯოს ინდონეზია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“

დღეგანდელმა გაზეთებმა პირველ გვერდებზე დაბეჭდეს საბატიო საბჭოთა სტუმრის პორტრეტი და ბიოგრაფია.

ბრაზილია მიესალმება

სან-პაულო, 25 მარტი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ე. ელშოვი იუწყება:

სან-პაულოს ბევრი მცხოვრები ფიქრობდა, დღეს თუ არა, ხვალ მაინც ვნახავ ჩვენს ქალაქში გახსნილ გამოფენას „აერონავტიკა და კოსმოსი“. და აი, უცად ისინი, თითქოს პირი შეპკრესო, ერთსულოვნად მოაწყდნენ გამოფენას. ამ დღეს აქ იმყოფებოდნენ საბჭოთა კოსმონავტები პავლე პოპოვიჩი და ანდრიან ნიკოლაევი. ყველაზე პოპულარული ექსპონატები სწორედ ის აღმოჩნდა, სადაც საბჭოთა სტუმრები ჩერდებოდნენ. საგამოფენო დარბაზის ყველა კუთხიდან მიესალმებოდნენ პოპოვიჩსა და ნიკოლაევს.

სადამოს კოსმონავტები გულშემატკივრებად იქცნენ. ადგილობრივ სტადიონზე მიმდინარეობდა მატჩი შტატების პირველობაზე. ერთმანეთს ხვდებოდნენ „სანტოსისა“ და „ფლუმინენსეს“ გუნდები — უძლიერესი და სახელმოხვეჭილი ფეხბურთელები. მათ შორის პელე. მოლოდინის წინააღმდეგ ბრაზილიის ჩემპიონმა „სანტოსმა“ წააგო ანგარიშით 2 : 4. ერთერთმა ადგილობრივმა გაზეთმა ასე დაიწერა ამ თამაშის ანგარიში:

„ჩვენს“ „სანტოსს“ ბედმა უმეუხლოა. სახელმოხვეჭილი კოსმონავტების ნიკოლაევისა და პოპოვიჩის დასწრებით გუნდმა ასეთი დამარცხება განიცადა“.

კოსმონავტებს სთხოვეს კომენტარი გაეკეთებინათ მატჩისათვის სტალენგრადი კამერასთან. როცა შეიტყეს, პოპოვიჩი ფეხბურთის თამაშობსო, ჰკითხეს: „რა უფრო გეადვილებათ, კოსმოსში ფრენა თუ თამაში პელეს წინააღმდეგ?“ პოპოვიჩმა ღიმილით თქვა: „უეჭველია, თავს ვერ გამოვიჩენდით... მე — ფეხბურთის მოყვანზე, პელე — კოსმოსურ კაფსულში“.

წარუშლელი, შთაბეჭდილება მოახდინა კოსმონავტთან შეხვედრამ მშრომელებთან — ბრაზილიის პროფკავშირთა წარმომადგენლებთან, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ უდიდეს თეატრში — „პარამაუნტში“ გაიმართა.

შეხვედრის დასასრულს უჩვენეს ფილმი „ვარსკვლავეთის ძმები“.

თათბირი ჰავანაში

ჰავანა, 24 მარტი. (საკდესი). აქ აგრარული რეფორმის ეროვნული ინსტიტუტის შენობაში გაიხსნა სრულიად კუბის პირველი თათბირი სოფლის მეურნეობაში მეცნიერული კვლევის საკითხებზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ ინსტიტუტის პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერებათა აკადემიისა და ჰავანის უნივერსიტეტის წარმომადგენლები, აგრეთვე ბევრი სასოფლო-სამეურნეო საბჭოურის მუშაკები.

საბჭოთა ეროვნული

ყველანი ცხოვრების ეროვნული

ბანკი

ბანკი

ეროვნული

ეროვნული

ბანკი

გაფიცვა გრძელდება

პარიზი, 24 მარტი. (საკდესი). ოცდამეოთხე დღეა გრძელდება საფრანგეთის მაღაროელთა გმირული გაფიცვა.

უკანასკნელ კვირაში საფრანგეთი მოელოდა ეგრეთ წოდებული „მასსეს კომისიის“ მუშაობის შედეგებს, რომელიც ხელისუფალთა მითითებით შეიქმნა, რათა „დაეხუსტებინა“ საფრანგეთის მაღაროელთა მდგომარეობა და მათი ეკონომიური მოთხოვნების „რეალობა.“ გუშინ საღამოს, ბოლოს და ბოლოს, პარიზში გამოქვეყნდა ამ კომისიის მოსაზრებები და დასკვნები.

კომისიის წევრები, რომლებსაც აქ „ბრძენები“ შეარქვეს, ყოველნაირად ცდილობდნენ შეელამაზებინათ ქვანახშირისა და რკინის მაღნის მრეწველობის მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობა. მაგრამ მათი დასკვნები მოწმობენ, რომ ეკონომიკის ამ დარგების მშრომელთა ხელფასი ნაციონალიზებული ეკონომიკის სხვა დარგების ხელფასის დონეს ჩამორჩება 7,4 პროცენტით. როგორც ცნობილია, მეშახტეთა პროფკავშირული გაერთიანებების მონაცემებით, საფრანგეთის მეშახტეთა ხელფასის დონე საფრანგეთის ეკონომიკის სხვა ნაციონალიზებული დარგების მშრომელთა ხელფასის დონეს ჩამორჩება 11 პროცენტით.

როგორც კი ცნობილი გახდა „ბრძენთა კომისიის“ დასკვნები, მაღაროელთა პროფკავშირულმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა განსაზღვრეს თავიანთი დამოკიდებულება კომისიის დასკვნისადმი. მაღაროელთა ეროვნული ფედერაცია, რომელიც შედის შრომის საყოველთაო კონფედერაციაში, თავის განცხადებაში ხაზს უსვამს, რომ კომისიის დასკვნები სრული არ არის, რომ საფრანგეთის მეშახტეებს არ შეუძლიათ დაეთანხმონ მათ და კვლავ მტკიცედ იბრძოლებენ ეკონომიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

საფრანგეთის ენერგეტიკული საწარმოების მუშაკთა ეროვნულმა ფედერაციამ აგრეთვე გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ კომისიამ დაამახინჯა ენერგეტიკული მრეწველობის მშრომელთა მდგომარეობა. ფედერაციას საჭიროდ მიაჩნია დაიწყოს მოლაპარაკება ეკონომიკის ამ დარგის დირექციასთან მშრომელთა ხელფასის სწორი დონის დადგენის მიზნით.

კვლავგრძდებულად მთელ საფრანგეთში გრძელდება გაფიცული მეშახტეებისადმი მოსახლეობის სოლიდარობის ფართო კამპანია. ყველგან აგროვებენ ფინანსურ სახსრებს გაფიცულთა ფონდისათვის.

საკავშირო ტრასა — მოსკოვი - დელი

დელი, 25 მარტი. (საკდესი). დღეს დილით დელის კალამის ცენტრალურ აეროდრომზე პირველ ... „ტუ-114“. ამ რეისით აეროფლოტი იწყებს რეგულარულ ... ქალაქებს შორის „ტუ-114“ თვითმფრინავებით, რომლებიც შეცვლიან ამ ხაზზე დღემდე მოქმედ „ილ-18“ თვითმფრინავებს.

ცილისმწამებლებმა პასუხი უნდა აგონ

ლოსანჯელესი, 23 მარტი. (საკდესი). კონგრეს რესპუბლიკის სენატმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვს წესრიგი დაამყარონ კონგრეს საინფორმაციო სამსახურის ორგანიზაციაში და, კერძოდ, აუკრძალოს აქციეს იმის, რომ არ დაუშვან ტენდენციური და ცილისმწამებლური სტატიების გამოქვეყნება კონგრეს გაზეთებში, ასეთი სტატიების ავტორები მიცემულ იქნენ სისხლის სამართალში.

რეზოლუციაში განსაკუთრებით ხაზგასმულია ერთსულოვანი სურვილი, რომ დაუყოვნებლივ ... „პროგრეს“, რომელმაც მოიხეჭა სახელი როგორც ქომაგმა ბინძური ცილის წამებისა და მონაწილეობა კონგრეს პროგრესიული მოღვაწეების მიმართ, გულმოდგინე დამცველმა დასავლეთის კოლონიური პოლიტიკისა კონგრესა და ... ...

ახალი ამბები

ცნობები • ფაქტები • სპორტული ქრონიკა •

გარდამავალი დროშა მეშვიდედ

თბილისის რესტორნებისა და კაფეების ტრესტმა ზედიზედ მეშვიდედ მოიპოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

გარდამავალი დროშა შეინარჩუნეს გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმის მაღალი მაჩვენებლებით დამთავრებისათვის. საანგარიშო პერიოდში საცალო საბჭვების საქონელბრუნვის გეგმა 105,3 პროცენტით, საკუთარი პროდუქციისა— 109,1 პროცენტით, კერძების გამოშვებისა — 104,3 პროცენტით, დაგროვებისა— 105,7 პროცენტით შეასრულა, ასეთი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ამას წინად გაკრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის კლუბში შეიკრიბნენ დედაქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ეს წარმატება ტრესტის მუშაკებს (დირექტორი ი. ბოკერია) მიეღოცა გაკრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კიკვაძემ.

აღსანიშნავია, რომ თბილისის რესტორნებისა და კაფეების ტრესტმა წლიური მაჩვენებლების მიხედვით საცალო საბჭვების საქონელბრუნვის გეგმა 105,9 პროცენტით, კერძების გამოშვებისა — 112,1 პროცენტით, საკუთარი პროდუქციისა — 111,4 პროცენტით შეასრულა. ხვედრითი წონა საკუთარი ნაწარმის საერთო ბრუნვაში გადაჭარბებულია 2 პროცენტით.

ტრესტის კოლექტივი, გარდა იმისა, რომ უშვებს მაღალხარისხოვან პროდუქციას, სანიმუშო მომსახურებას უწევს მოსახლეობას და გეგმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ყოველწლიურად, აფართოებს კვების საწარმოთა ქსელს. ტრესტმა უკანასკნელ ხანებში გახსნა პირველი კლასის 180-ადგილიანი რესტორანი „ყოლხიდა", კეთილმოწყობილი კაფე ჰავანა ძის პროსპექტზე „ცისკარი" და სხვ. შვიდწლედის პირველ წელთან შედარებით საქონელბრუნვის გეგმა 1962 წელს გაზარდა 86,1 პროცენტით.

თბილისის რესტორნებისა და კაფეების ტრესტს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვული ჰყავს მომე რესპუბლიკების ბაქოსა და ერევნის რესტორნებისა და კაფეების ტრესტები. თბილისელებმა თავი აქაც ისახელეს და პირველები გამოვიდნენ.

საინტერესო არქეოლოგიური ნაპოვნი

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღარო „ახალი ითხვისის" ტერიტორიაზე მარგანეცის საბადოს ღია წესით გადახსნისას ექსკავატორი წაეწყდა საინტერესო უძველეს ნაგებობას. მაღაროელებმა მუშაობა შეაჩერეს და აცნობეს ეს თბილისში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას. სპეციალისტებმა არ დააყოვნეს. აქ ჩამოვიდა არქეოლოგიური ექსპედიცია მეცნიერი მუშაკის რ. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით.

არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა უძველესი სამარხი, რომელშიც ნაპოვნია მამაკაცის, ქალის, ცხენის და სხვა ჩონჩხები, რკინის შუბები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი ბერძნული წარწერით, სამკაულები და ნივთები.

მეცნიერების აზრით, სამარხი განეკუთვნება მეხუთე საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. არქეოლოგიური ნაპოვნის შესწავლა თბილისში მიმდინარეობს. განზრახულია, რომ არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ითხვისში წელსაც განაგრძოს გათხრები.

ლუგანსკელები ტყიბულში

ტყიბული. (საკ. კორ.). კულტურის სასახლეში კონცერტი გამართა ლუგანსკის სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ანსამბლმა, რომელმაც მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამა წარმოადგინა. მაყურებელი განსაკუთრებით მოხიბლა ინსტრუმენტალურმა კვარტეტმა, იუმორმა, სატირამ, ბოშურმა რომანსებმა, ხალხურმა ცეკვებმა, ლირიკულმა სიმღერებმა და ილუზიონისტურმა ნომრებმა.

მოსწავლეები ეუფლებიან ტრაქტორის მართვას

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქ არის სასოფლო-საბუნებისმეტყველო ტექნიკური, რომლის ათეულობით მოსწავლე ძირითად ბროფესიასთან ერთად ეუფლება ტრაქტორის მართვას. მესამე კურსის მოსწავლეები პრაქტიკას გადიან „საქსოფლტექნიკის" ზესტაფონის განყოფილებისახელოსნოში და მონდომებით სწავლობენ ტრაქტორისტობას. მოსწავლეები ლ. ლაბაძე, ს. თოროლაძე, შ. ბერეგაძე, თ. მესხი, გ. კოკნაველიძე, შ. ნიკაბაძე და სხვები თავისუფლად მართავენ სატს. ტექნიკუმის 30 მოსწავლე წელს მიიღებს ტრაქტორის მართვის უფლებას და დაეხმარება საკოლმეურნეო სოფელს.

საბავშვო წიგნის კვირეული

დიდი გამოცოცხლებაა წიგნის მაღაზიებში, პიონერთა სახლებში, ბიბლიოთეკებში. საგაზაფხულო არდადეგების დღეებში ხომ ყოველთვის ეწყობა ტრადიციული წიგნის კვირეული — წიგნის დღესასწაული.

გამომცემლობა „ნაკადულმა" თავის ნორჩ მკითხველებს მიაწოდა ლამაზად დასურათებული წიგნები — მაყვალა მრევლიშვილის რჩეული ლექსები — „დიმპიტაური", ნ. თარხნიშვილისა და ჯ. ლოლუას — „თუთიყუში", ძმების გრიმების რჩეული ზღაპრები „გულადი თერძი", მარიჯანის — „მზიური ქვეყნის ბავშვები", ქართველ კლასიკოსთა და რევოლუციამდელ მწერალთა საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებების „საუნჯის" I და II ტომი, ო. იოსელიანის მოთხრობა „ცხრა მთას იქით", ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებთა კრებული „გაზაფხული", ა. დოროხოვის „მეკარის ჩანაწერები" და სხვ.

გარდა წიგნების შეძენისა, მოსწავლეები კვირეულის დღეებში შეხვდებიან თავიანთ საყვარელ მწერლებსა და პოეტებს, მოაწყობენ საბავშვო დილებს, მკითხველთა კონფერენციებს.

24 მარტს რკინიგზელის სახლში ნორჩმა მკითხველებმა შეხვედრა მოუწყეს მარიჯანს, მაყვალა მრევლიშვილსა და ხუტა ბერულავას. ამავე დღეს აქ გაიმართა წიგნის დიდი ბაზრობა.

წიგნის კვირეული 31 მარტს დამთავრდება.

ფოტოინფორმაცია

ცისფერი ჩირაღდანი სულ უფრო და უფრო უახლოვდება თბილისს. მთავრდება ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის მშენებლობა.

ბეჯითი შრომით სახელი გაითქვა ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის მშენებლობის როსტოვის № 12 შემდღუღებელი-სამონტაჟო სამმართველოს ელექტროშემდღუღებელმა ივანე პავლიუჩკოვმა. იგი ორმაგად ასრულებს ყოველდღიურ დავალებას. **სურათზე:** ივანე პავლიუჩკოვი.

ფოტო გ. გოგობიასი.



ზაირა სამუშია საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ წავიდა ინგურის ცელულოზიანა და ქაღალდის კომბინატში. ენერგიული ქალიშვილი რვეულის საამკრაში მუშაობს და ერთ-ერთ საუკეთესო მუშად ითვლება.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

გენერალური რეპეტიცია

კარზე მომდგარი საიუბილეო ჩემპიონატისათვის მზადება ძირითადად ამოიწურა. „ა" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივებმა ერთხელ კიდევ შეამოწმეს საკუთარი ძალები, გამართეს უკანასკნელი საკონტროლო შეხვედრები. ასე ვთქვათ, გენერალური რეპეტიცია.

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა იყო გასული კვირადღის მატჩი თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე ადგილობრივ „დინამოსა" და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდებს შორის. ბრძოლის მსელელობამ ცხადყო, რომ ორივე გუნდი ცუდად როდია მომზადებული. ცსკა-ს რიგები თვალსაჩინოდ არის გაძლიერებული და უნდა ვიგარაუდოთ, რომ არმიელებს ახალ სეზონში წარმატებებიც ექნებათ.

პირველი ტაიმი დინამოელებმა უფრო აქტიურად ჩაატარეს და ანგარიშიც მათ გახსნეს (ბურთი გაატანა მესხმა). მაგრამ ბოლო წუთებში მამიკინმა შეძლო საპასუხო გოლის გატანა — 1 : 1.

მეორე ნახევრის ბოლო წუთებში არმიელებმა (კაშტანოვი) გადამწყვეტი გოლი გაიტანეს და გაიმარჯვეს 2 : 1.

მოწინააღმდეგენი ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ცსკა — ბაუჟა, სემიგლაზოვი, შესტერნევი, ბაგრინი, ლინიაევი, მანოშინი, გრეკოვი, დოროდნიხი (პოლიკარპოვი), ფედოტოვი, მამიკინი, კაშტანოვი; „დინამო" — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი (მელაშვილი), ბარქაია, კალოევი, ხელაძე, მესხი.

ფეხბურთი

მოჭიდავეთა ფორუმის გმირები

მოჭიდავეთა თბილისის საერთაშორისო ტურნირის უკანასკნელი ორი დღე დათმობილი ჰქონდა მესამე და მეოთხე წრის, ანუ დასკვნითს შეხვედრებს. ამ ასპარეზობაში ბრძოლის სიმძაფრემ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. განსაკუთრებით იგრძნობოდა სპორტული მღელვარება ირანელთა გამოსვლებში, რომელებიც მეტად მტკივნეულად გბიცდიდნენ წარუმატებლობას და უსაფუძვლო პროტესტს გამოხატავდნენ.

გუშინდელი შეჯიბრება დაიწყო საშუალო წონის მოჭიდავეთა გამოსვლებით. ხალიჩაზე არიან საბჭოთა მოჭიდავეები ჯ. ლორია და ა. ალბული, პირველი წუთებიდანვე ალბულის უპირატესობა აშკარა იყო და გამარჯვებაც ეულებით-მას მიეკუთვნა. ამავე წონითს კატეგორიაში რუმინელმა ფ. ბალომ დაამარცხა შ. ლომძე.

ქვეძძიმე წონაში ერთმანეთს შეხვდა ორი საბჭოთა სპორტსმენი ნ. გოგიბერაძეული და გ. გზირიშვილი. ბრძოლა პასიური და უღიმღამო ყოფა. იგი დამთავრდა ფრედ.

საერთო ყურადღებას იპყრობდა მძიმე წონის ორი მოჭიდავის მსოფლიო ჩემპიონების ა. მედვედისა და ა. ივანიცკის ორთაბრძოლა. შეიძლება თქვას რომ ვერც მან გაამართლეს მაყურებელთა იმედები, ასპარეზობა მიმდინარეობდა მდორედ. და აქაც ფრაქსირებულ იქნა ფრე. მეტოქეები ამ შეხვედრაზე მოვიდნენ ნოლი საჯარიმო ქულით, ამიტომ პირველობის საკითხი უნდა გადაწყვეტა მოწინააღმდეგეთა საკუთარ წონას.

ეფექტური და ლამაზი იყო ქვესამეულო წონის მოჭიდავეების ე. დიმიტროვისა (ბულგარეთი) და გ. სალარაძის შეხვედრა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ენერგიულად ეკვეთა მოწინააღმდეგეს და 1 წუთსა და 56 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ამავე წონაში ი. სტაცურასა და ა. ცხოვრებოვის შეჯიბრება დამთავრდა ფრედ.

მაყურებლები განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ ნ. ალაბარიანისა (სსრ კავშირი) და ა. პოდობანდეს (ირანი) შეხვედრას. ეს იყო გუშინდელი დღის ერთ-ერთი მძაფრი ორთაბრძოლა. თანდათან გამოაშკარავდა ირანელი სპორტსმენის უპირატესობა და გამარჯვებაც ქულებით მას ხვდა. მჩატე წონაში მეორე ირანელი მოჭიდავე შ. ბაბაოლადისა დამარცხდა იბრაგიმოვთან, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონმა ირანელმა ი. სეიფურმა მოუგო ა. პტიკინს.

კიდევ რამდენიმე წყვილის გამოსვლის შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა სპორტული შედეგები. წონითი კატეგორიის მიხედვით ტურნირში გამარჯვებული გამოვიდნენ: უმაღლეს წონაში — **ა ბ დ უ ლ ა ჰ ო დ ო ბ ა ნ დ ე ე.** მჩატე წონაში — **იბრაგიმოვი,** ქვემსუბუქ წონაში — **ქარსაულიძე,** მსუბუქ წონაში — **ბერიაშვილი,** ქვესაშუალო წონაში — **ცხოვრებოვი,** საშუალო წონაში — **ალბული,** ქვეძძიმე წონაში — **აიბანოვი,** მძიმე წონაში — **მედვედი.**

მსოფლიოს ჩემპიონი
სეიფური
(ირანი)

• • •

მეგობრული შარჟი
გ. ფირცხალავასი.

თასი—ჯ. ასტახოვას

კიევში სპორტის სასახლეში ორ დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში ქალთათვის. შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა პოლინა ასტახოვა, რომელმაც მრავალჯერ პირველ ადგილთან ერთად სსრ კავშირის თასი მოიპოვა.

ქვლავ წარუმატებლობა

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში შედგა კალათბურთელთა ზამთრის საკავშირო ტურნირის მორიგი შეჯიბრება — ეაქთა გუნდებისათვის. თამაშობდნენ კიევის არმიის სასპორტო კლუბისა და თბილისის „დინამოს" გუნდები. დინამოელები ბევრჯ წარუმატებლად იბრძოდნენ და დამარცხდნენ ანგარიშით 71 : 75.

მოედანზე არიან „ბ" კლასის გუნდები

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე გაიმართა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში. ამჯერად ძალებს ცდიდნენ „ბ" კლასის გუნდები — ბათუმის „დინამო" და თბილისის „ლოკომოტივი". გამარჯვეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 3 : 0.

საბრძოლო ყაიმი

ვინ იქნება ჩემპიონი?

მოსკოვი, 25 მარტი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს გაიმართა მატჩის მეორე პარტია, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონი თეთრებით თამაშობდა. უნდა ითქვას, რომ პეტროსიანის დამარცხება პირველ პარტიაში რამდენადმე მოულოდნელი იყო. იგი მეტად გაუბედავად, სუსტად თამაშობდა, ცუდად აწარმოებდა მანევრებს და პირდაპირ შეცდომებსაც კი უშვებდა. როდესაც ამის შესახებ პეტროსიანს მივმართე, მან ყოველივე ეს ახსნა შეუჩვეველი პირობებით.

მართლაც დღეს პეტროსიანი ბევრად უფრო უკეთესად თამაშობდა და შეცდომები არ დაუშვია.

მეტოქეებმა გაითამაშეს ე. წ. ლაზიერის მიღებული გამბიტი. ეს მეტად მწვავე დასაწყისია, რომელსაც ხშირად იყენებდნენ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. დასაწყისში მსოფლიო ჩემპიონმა რამდენადმე უფრო თავისუფალი თამაში მიიღო და დაიწყო აქტიური ოპერაციები, ხოლო შავებს თავდაცვის წარმოება მოუწდათ. მე-11 სვლაზე პეტროსიანმა გაცვლის მიმართა, რათა შეესუსტებინა თეთრების დაწოლა. მიუხედავად ამისა, ბოტვინიკი მაინც ინარჩუნებდა საგრძნობ პოზიციურ უპირატესობებს. პეტროსიანი თავს ფრთხილად იცავდა და მახვილგონიერულად მოიგერია თეთრების შეტევა.

ბოტვინიკი თამაშის სწორი გეგმის არჩევის დიდებული ოსტატია. როდესაც მან შეატყო, რომ პირდაპირი შეტევით ეფექტური და ლამაზი იყო ქვესამეულო წონის მოჭიდავეების ე. დიმიტროვისა (ბულგარეთი) და გ. სალარაძის შეხვედრა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ენერგიულად ეკვეთა მოწინააღმდეგეს და 1 წუთსა და 56 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ამავე წონაში ი. სტაცურასა და ა. ცხოვრებოვის შეჯიბრება დამთავრდა ფრედ.

მაყურებლები განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ ნ. ალაბარიანისა (სსრ კავშირი) და ა. პოდობანდეს (ირანი) შეხვედრას. ეს იყო გუშინდელი დღის ერთ-ერთი მძაფრი ორთაბრძოლა. თანდათან გამოაშკარავდა ირანელი სპორტსმენის უპირატესობა და გამარჯვებაც ქულებით მას ხვდა. მჩატე წონაში მეორე ირანელი მოჭიდავე შ. ბაბაოლადისა დამარცხდა იბრაგიმოვთან, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონმა ირანელმა ი. სეიფურმა მოუგო ა. პტიკინს.

კიდევ რამდენიმე წყვილის გამოსვლის შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა სპორტული შედეგები. წონითი კატეგორიის მიხედვით ტურნირში გამარჯვებული გამოვიდნენ: უმაღლეს წონაში — **ა ბ დ უ ლ ა ჰ ო დ ო ბ ა ნ დ ე ე.** მჩატე წონაში — **იბრაგიმოვი,** ქვემსუბუქ წონაში — **ქარსაულიძე,** მსუბუქ წონაში — **ბერიაშვილი,** ქვესაშუალო წონაში — **ცხოვრებოვი,** საშუალო წონაში — **ალბული,** ქვეძძიმე წონაში — **აიბანოვი,** მძიმე წონაში — **მედვედი.**

მსოფლიოს ჩემპიონი
სეიფური
(ირანი)

• • •

მეგობრული შარჟი
გ. ფირცხალავასი.

საერთაშორისო მატჩები

გასულ კვირადღეს ცსკა-ს საცურაო აუზში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება წყალბურთში ჰოლანდიისა და მოსკოვის საკლუბო ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა წყალბურთელებმა ანგარიშით 4:2. სტუმრებიდან ორივე ბურთი გაიტანა ჰოლანდიელთა მთავარმა სნაიპერმა ალბერტომ. ჩვენი ნაკრებიდან გამოირჩეოდა მშვენიერაძე, რომელიც 2 გოლის ავტორი იყო. ჰოლანდიელები ეწვევიან ერევანსა და თბილისს.

24 მარტს ლენინგრადში მოეწყო ტრადიციული ასპარეზობა კლასიკურ ჭიდაობაში ფინეთისა და ლენინგრადის ნაკრებ გუნდებს შორის. მასპინძლებმა ბრძოლა აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს 5:3. ასეთივე ანგარიშით ყაზახეთის მოჭიდავეებმა საკუთარ დარბაზში დაამარცხეს რუმინეთის ნაკრები გუნდი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა ამხ. **გ. ი. ჩოგოვაძე** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრი ამხ. **ნ. გ. გომელაური** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარედ, გაათავისუფლა რა იგი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

ელექტრონიკა და ავტომანქანები

წერილი ლენინგრადიდან

...„ჰაერში მოტორებიდან გამონაბოლქვი გაზების ნისლი იდგა და თვალს სწვავდა...", — წერს აკადემიკოსი დ. შჩერბაკოვი თავის შთაბეჭდილებებში ნიუ-იორკზე. ჩვენ ხშირად გვესმის ლონდონის სმოგზე, რაც ნაწარმოები სიტყვაა. — სმოუკ-კვამლი და ფოგ-ნისლი. ქალაქში ნისლს იწვევს კვამლი და ავტომანქანებიდან გამონაბოლქვი მავნე გაზები.

ჩვენს დიდ ქალაქებშიც როდია ყოველთვის წმინდა და გამჭვირვალე ჰაერი. უკანასკნელ ხანებში ავტომანქანების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. შესაბამისად იზრდება, უხეშად რომ ვთქვათ „ჰაერის დანაგვიანებაც", რომელსაც იძულებული ვართ შეეწიოთ მხოლოდ მექანიზებული ტრანსპორტის უპირატესობის გამო. მაგრამ თუ ეს აუცილებელია, ხომ არ შეიძლება მისი შემცირება მაინც?

ამ პრობლემაზე დიდი ხანია გულდასმით მუშაობს მსოფლიოს სამეცნიერო-ტექნიკური აზროვნება. მაგრამ „წმინდა" უკეთესო შიდაწვის ძრავის შექმნა ადვილი საქმე როდია.

— ეს იგივეა, რაც განიზრახო ღუმელის მხოლოდ ერთი ნაპობი დანთება — განმარტავს ლენინგრადში არსებული სათბობი ამარატურის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ინჟინერი ს. ლისოვსკი — ნაპობი, რასაკვირველია, არ ითვება ასანთისაგან. ცეცხლი შეიძლება გავადვივოთ სარჩილავი ნათურით ასევე ხდება ბენზინის ძრავის ცილინდრშიც. ელექტრობის ნაპერწკლიდან საწვავის მცირე ნარევი ანთობა, ამიტომ ვკიდებ მივაწოდოთ საწვავის დიდი დოზა, რომელიც მთლიანად არ იწვის. სწორედ ბენზინის დაუწვავი ნაწილი წარმოადგენს გამონაბოლქვს, რომელიც შედგება მხუთავი გაზებისა და ჯანმრთელობისათვის მავნე ქიმიური პროდუქტებისაგან. მაშ რა უნდა ვქნათ? დაეუბრუნდეთ ნაპობის მაგალითს. თუ ის ითვება სარჩილავი ნათურის ჩრაღდნისაგან, მაშინ ხომ არ შეიძლება ასევითვე პრინციპი გამოვიყენოთ საწვავის მცირე ნარევისთვისაც ავტომობილის ცილინდრში? ასე წარმოიქმნა ახალი ტერმინი „ჩრაღდნული ანთება".

შემდეგ ინჟინერ ს. ლისოვსკისთან საუბარში გამოირკვა, რომ ლაპარაკია არა იმ ჩრაღდნულ ანთებაზე, რომელ ზეც წინათ იყო ლაპარაკი პრესაში, არამედ ახალ, უფრო ორიგინალურ და რაციონალურ მეთოდზე. ეს საშუალებას იძლევა მოვამზარაკოთ ყველა კონსტრუქციის ბენზინის ძრავის სანაპერწკლო სანთელი არართული ნაცმებით. ნაცმი ცილინდრში უზრუნველყოფს ფეთქვას, ანთებს საწვავის ნარევს, რომელიც თითქმის მთლიანად იწვის და ამიტომ მავნე ნაერთების შემადგენლობა და ნახშირკაბონის გამავალი გაზების რაოდენობა მცირდება 5-10-ჯერ.

სრულყოფილი ჩრაღდნული ანთების სისტემა, დამუშავებული ტექნიკური მეცნიერების კანდიდატის ნ. გიტლინისა და ინჟინერების ს. ლისოვსკისა და გ. ბუდანოვის მიერ, წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში გადიოდა გამოცდას მოსკოვის № 24 ავტობაზაში. კონსტრუქტორებმა მიმართეს ჩვენი ქვეყნის ავტოტრანსპორტის მუშაკებს: მოდით ერთად ვიზრუნოთ ჩრაღდნული ანთების დანერგვისათვის. ეს დაზოგავს მილიონობით მანეთს, გაახანგრძლივებს ძრავების მუშაობის დროს, გააჯანსაღებს ქალაქის ჰაერს.

და მართლაც, ასეთი სისტემა ადვილად ამართლებს თავს. რადგან ამცირებს ბენზინის დანახარჯს 8-11 პროცენტამდე. ერთი კომპლექტის ღირებულება კი სერიული გამოშვების დროს არ აღემატება 10-12 მანეთს. ძრავების გადაკეთებას: დასჭირდება ორი-სამი საათი. დანახარჯი არცთუ დიდია, სამაგიეროდ ეფექტი მნიშვნელოვანია.

ჩვენ ვმეზაღრობთ. ლენინგრადის ქუჩებში საოცარი ავტომანქანები. გარეგნულად იგი არაფერით არ განსხვავდება იმავე მარკის თანამოძმეებისაგან.

მანქანა ადგილიდან სწრაფად, მაგრამ წყნარად იძვრის. გზაჯვარედინებზე შეჩერების შემდეგ ადვილად ვიჭრებით წინ — ეს კარგი შეღავათია დიდ ქალაქში. გზატკეცილზე ადვილად ვუსწრებთ სხვა მანქანებს.

მოტორის გარსაცმს რომ ასწევთ, შიგ ვერ ნახავთ ნაცნობ კარბიურატორს. — ცხელი საწვავის ცილინდრში მიმწოდებელს. მოტორი „იკვებება" ელექტრონული პრინციპით.

ეს ჯერ კიდევ უჩვეულოდ ძვირს — ელექტრონიკა და ავტომანქანა! მათი დაძმობილება გადაწყვეტეს სათბობი ამარატურის ინსტიტუტის სპეციალისტებმა, და როგორც ჩვენ დავრწმუნდით, კარგ შედეგსაც მიაღწიეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველად ეგრეთაანი.

ავტომობილიზმის ხვალინდელი დღის დანახვაში გვეხმარებიან ახალგაზრდა, მაგრამ წამყვანი ინჟინერები ა. ლისიცინი და ი. დუხნინი. ისინი ჩვენთან ერთად მოგზაურობდნენ. როდესაც დავბრუნდით, ლაბორატორიაში გვაჩვენეს ახალი პატარა ხელსაწყო. ასე გამოიყურება — აგვიხსნეს მათ — ელექტრონული სქემა, სათბობის „ტვინი".

„ტვინის" ამოცანაა სწრაფად გადაწყვიტოს, როგორი უნდა იყოს ამა თუ იმ მომენტში ბენზინის ოპტიმალური მიწოდება მოტორში და ავტომატურად გაუწიოს რეგულირება ამ მიწოდებას მილაკური ბენზინგამტარებით. რომლებიც შეერთებულია თვითეულ ცილინდრთან.

ამასთან სათბობის ხარჯი იგივე რჩება. სამაგიეროდ მოტორის სიმძლავრე მნიშვნელოვნად იზრდება. ეს უდრის იმას, რომ 70-ძალიანი მანქანა ხდება ასძალიანი.

— იქნებ ეს სიახლე ძალიან ძვირი ჯდება?

— არა, — გვამშვიდებენ, — ელექტრონული სისტემა იქნება მხოლოდ 4-5-ჯერ უფრო ძვირი კარბიურატორულ სისტემასთან შედარებით, ამ უკანასკნელის ფასი კი, როგორც ცნობილია, შეადგენს მთელი მანქანის ღირებულების დაახლოებით ერთ მეასედს. ელექტრონიკის უპირატესობა მართლაც რომ ფასდაუდებელია. მომავალი მას ეკუთვნის.

ო. კარიშევი.

მეცნიერება და ცხოვრება

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

კინო

26 მარტი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (მწვანე დარბაზი), **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — კიდევ ერთი, ვისაც სიყვარული აკმარებს, **ამირანი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **გაზაფხული, კიროვის სახელობის პარკი**—ორი ბატონი №, **თბილისი, კოლხიდა, ჰავჰავაძის სახელობის** კლუბი. **კოსმოსი** — კოლიგები.

ტელევიზია

26 მარტი

12.00 — სატარეულ-იუმორისტული სტელეგაზეთი ჟურნალი „ოქროპირი", 12.45 — მხატვრული ფილმი „თომა გორდეევი", 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი", 18.25 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „უფროსების მხარდამხარ", 18.45 — კინონარკვევი, 18.55 — სატელევიზიო ჟურნალი „სპორტი", 19.40 კინონარკვევი, 19.50 — გადაცემა ციკლიდან „ახალი წიგნები", 20.00 — კინოქურნალი, 20.10 — გადაცემა — „დავიცვათ ჰაერის სისუფთავე", 20.40 — მხატვრული მუსიკის კონცერტი, 20.55 — მშრომელთა ტელეუნივერსიტეტი, 21.10 — ახალი ამბები, 21.25 — მხატვრული ფილმი „გორგი საკაძე (პირველი სერია).

თეატრები

26 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ექიმი აიბოლიტი (დღისით), ალი (საღამოს, მე-5 აბონ. მე-9 სპექტ.), **რუსთაველის სახელობის** — თანამედროვე ტრაგედია (დღისით, მე-4 აბონ. მე-4 სპექტაკლი), როცა ასეთი სიყვარულია (საღამოს, მე-14 აბონ. მე-4 სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი (დღისით, 25-ე აბონ. მე-4 სპექტაკლი), ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე (საღამოს, მე-17 აბონ. მე-3 სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერი დღე (დღისით და საღამოს მე-3 აბონ. მე-8 სპექტაკლი), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — მზის დაბნელება (დღისით), სიმღერა თბილისზე (საღამოს), **სანკულტურის** — ოჯახური დავიდარაბა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გლახის ნაამბობი (აბონ. № 18, 12 ს.).

ეკრანი

27 მარტი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური საცეკვაოები, 08.30 — ქართული საბავშვო მუსიკის კონცერტი. 09.10 — ვ. გოკელი. პირველი საორკესტრო სიუიტა, 10.30 — ლიტერატურული გადაცემა, 10.45 — სიმღერები ქ. ღოღობერიძისა და ი. ზაქარიძის მესრულებით, 11.15 — კონცერტი კამერული მუსიკის მოყვარულთათვის, 12.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე", 12.15 — ნაწყვეტები თ. შავერზაშვილისა და კ. მელიგიბეგოვის ოპერებიდან, 13.40 — ტ. ბაქრაძის კამერული ნაწარმოებები. 17.15 —ნაწყვეტები ძერჟინსკის ოპერიდან „ადამიანის ბედი", 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, ნ. მაკსიმოვის ნარკვევი „წყნეთელის გეოგრაფია", 18.10 — დე-ფალია. ესპანური პიესები ფოტეპიანოსათვის, 18.45 — გრ. კოლაძე. საბალეტო სიუიტა „სინთილა", 19.30 — სატბარი — „თბილისის დაგეგმარებისა და განაშენიანების პერსპექტივები", 19.45 — რომანული სიმღერები. 20.15 — იური ცხომელიძის კონცერტი, 20.30 გადაცემა — „თბილისი, ბაკო, ერევანი", 21.00 — პოპულარული მუსიკის კონცერტი, 20.00 — „ლაპარაკობენ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები", 23.30 — ხინდმიტი. მეტამორფოზები ვებერის თემაზე.

1963 წლის 30 მარტს ერევანში შედგება სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხის მოგებათა 92-ე ტირაჟი

სესხის თექვსმეტ თანრიგზე გათამაშდება **7.440.320 მანეთის 186.000** მოგება, მათ შორის:

5.000-მანეთიანი 32 მოგება
2.500-მანეთიანი 80 მოგება
1.000-მანეთიანი 400 მოგება
500-მანეთიანი 1.280 მოგება
100-მანეთიანი 11.200 მოგება
40-მანეთიანი 123.008 მოგება.

სესხზე ყოველწლიურად ეწყობა მოგებათა 6 ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.

მოსახლეობაში არსებული 3-პროცენტიანი სესხის ობლიგაციები მონაწილეობას იღებენ მოგებათა ყველა ტირაჟში, რომლებიც მოეწყობა ამ სესხის ვადის გასვლამდე.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხის ობლიგაციები.

მონაწილეობა მიიღეთ მოგებათა ტირაჟებში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახაკრედიტის სამმართველო

ორგანიზაციების, დაწესებულებების, სასწავლებლების, სკოლების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ

საბოჭკალკო საბჭოთა ფლოტის მთავარმა სამმართველომ შემოიღო **მოკმედ ტარიფზე 20 პროცენტი ფასდაკლება ჯგუფური ფრენისათვის** ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების, სასწავლებლების, სკოლების **განაცხადებით.**

სარეისო თვითმფრინავებით ჯგუფური ფრენის დროს თვითეულ რეისზე ჯგუფში უნდა იყოს არანაკლებ **15 კაცისა და არაუმეტეს 30 კაცისა.**

ფასდაკლება ვრცელდება ჯგუფების გადაყვანაზე მხოლოდ გზატრანზიტიანი თვითმფრინავებით: **ტუ-114, ტუ-104, ტუ